საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის

ბრძანება **№39**

2021 წლის **2** ივლისი

ქ. თბილისი

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის წესის დამტკიცების შესახებ**“** საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის **2013** წლის **31** დეკემბრის **№995** ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის № 337 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, ვბრძანებ**:**

მუხლი **1**

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №995 ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 31/12/2013, 140130000.22.034.016246) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებულ წესს დაემატოს შემდეგი შინაარსის 5^1 მუხლი:

„მუხლი **5^1.** თადარიგის პოლიციელის მოწმობა
სამინისტროს სისტემიდან დათხოვნილ პირს, რომელსაც „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე დანიშნული აქვს სახელმწიფო კომპენსაცია, ეძლევა თადარიგის პოლიციელის მოწმობა, მინისტრის მიერ დამტკიცებული ნიმუშის შესაბამისად.“.

მუხლი **2**

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს შინაგან საქმეთა
მინისტრი ვახტანგ გომელაური